საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N კ/6 "10" მაისი 2017 წ.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 57-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის № 412 დადგენილების მე-5 მუხლისა და მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თანამშრომელთა მიღებასთან დაკავშირებით 2017 წლის 11 მაისიდან გამოცხადდეს საჯარო კონკურსი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

N	პოზიცია		მიმაგრება	სარგო
1	ცენტრალური აპარატი	თავმჯდომარის მოადგილე		2120
2	ცენტრალური აპარატი	თავმჯდომარის მოადგილე		2120

3	ცენტრალური აპარატი	დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი		1600
4	ცენტრალური აპარატი	მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი		1600
5	ცენტრალური აპარატი	ეკონომიკური სამსახურის ბუღალტერი		1100
6	ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	რეინჯერი	ლაგოდეხის სატყეო უბანი	450
7	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	უბნის უფროსი რეინჯერი	ქცია ტაბაწყურის უბანი	470
8	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	ზანავის უბანი	450
9	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	ქცია ტაბაწყური	450
10	ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი		400
11	მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	დაცვის განყოფილების უფროსი		700
12	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	დაცვის განყოფილების უფროსი		700

13	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი		400
14	მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი		400
15	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	უკანა ფშავის უბანი	450
16	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	უკანა ფშავის უბანი	450
17	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	არხოტის უბანი	450
18	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	არხოტის უბანი	450
19	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	შატილის უბანი	450
20	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	შატილის უბანი	450
21	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	შატილის უბანი	450

22	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	მიღმახევის უბანი	450
23	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	მიღმახევის უბანი	450
24	ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	მიღმახევის უბანი	450
25	კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	რეინჯერი	ხინოს უბანი (N II სარეინჯერო)	450
26	თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	(გლდანის უბანი (კევლიანი))	450
27	თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	(გლდანის უბანი (კევლიანი))	450
28	თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	რეინჯერი	(გარდაბნის უბანი)	450
29	მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი	დირექტორი		850

2. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა კანდიდატის მიერ უნდა მოხდეს მხოლოდ ელექტრონულად, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

3. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით. კანდიდატი ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) შესაბამის ველში ატვირთოს:

• განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

• სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუ სტაჟი მოთხოვნილია);

4. დამტკიცდეს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ფორმა და პირობები შემდეგი სახით:

ა) საბუთების მიღება განხორციელდეს საჯარო კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში;
ბ) კონკურსის შედეგად ერთ ვაკანსიაზე შერჩეულ იქნას ერთი კანდიდატი, რომელიც თავისი პროფესიული ჩვევებით, კვალიფიკაციით, შესაძლებლობებითა და პიროვნული თვისებებით შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
გ) კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელმაც კონკურსის გამოცხადებისთვის მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას;
დ) კონკურსი ჩატარდეს შემდეგ ეტაპებად:
დ.ა) *აპლიკაციების გადარჩევა/შეფასება* - შემოტანილი განაცხადის ვაკანსიისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
დ.ბ) *ინტერვიუ* - ზეპირი გასაუბრება, მათ შორის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტული უნარის დამატებით შემოწმება (პრეზენტაცია, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ.). კომისია უფლებამოსილია, კონკურსის მეორე ეტაპი (გასაუბრება) ჩაატაროს skype-ის მეშვეობით.
ე) საკონკურსო-საატესტაციო კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს შერჩეულ მხოლოდ ერთი კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.
ვ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება განხორციელდეს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
ზ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება განხორციელდეს ღია კენჭისყრის საფუძველზე. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
თ) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადარჩევის ეტაპის განხორციელება დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის პასუხისმგებელ პირს.

5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული კანდიდატი (გარდა მოქმედი თანამშრომლებისა) ინიშნება თანამდებობაზე, თუ იგი კომისიის გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან 2 კვირის განმავლობაში სააგენტოს წარუდგენს შინაგანაწესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ შემდეგ დოკუმენტებს:

• განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
• ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ნასამართლეობის შესახებ;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომ აღრიცხვაზე არ იმყოფება;
- ელექტრონული ფოტოსურათი ზომა 3x4 -ზე.

6. დაევალოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უზრუნველყოს კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

7. კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, ხოლო თანამდებობაზე დამნიშვნელ პირს – კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატის ან კანდიდატის წარდგენაზე უარის შესახებ.

8. კომისია კონკურსის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში, საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული კონკურსის შესახებ ვაკანტური თანამდებობების დასახელების, შესული განცხადებების რაოდენობის, კონკურსის ეტაპების, პროცედურების და კონკურსის შედეგების მითითებით.

9. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი : ქ. თბილისი გულუას ქ. №6.

10. ეს გრძანება ღიად განთავსდეს სააგენტოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (საინფორმაციო დაფაზე) და ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე (საჯაროდ გამოცხადებისთანავე).

11. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემდგომ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. №6) მისი ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან (საჯაროდ გამოცხადებიდან) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე

თომა დეკანოიძე